

F 24  
1888



# საქართველო

საყოველ-ჰვირაო. სალიტერატურო და სამხატვრო. გაზეთი

1888 წელსა

№ 27

მარტომთხევამის 7.

გაზეთი ღირს: ერთს წლ. 5 მ.,  
ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე № 15 კ.  
ხელის მოწერა მიიღება:  
თბილისში, რედაქციის კანტორაში.  
ფოთში ბესარიონ კალანდაძესთან.  
აღრესი გარეშე მცხოვრებთათვის:  
Тифлисъ, въ редакцію газеты  
"ТЕАТРЪ". გაზეთი ისყიდე-  
ბა: თბილისში, ჩარკვიანის წიგ-  
ნის მაღაზიაში; და ბ-ნ ნიდდეველ-  
თან — გოლოვინის პროსპექტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-  
ლები (კორესპონდენცია) გარევე-  
ვით უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-  
ჭიროება მოითხოვს წერილებს რე-  
დაქცია შესწორებს. რედაქცია არა  
კისრულობს წერილების უკან გაგ-  
ზავენას და მათ შესახებ მიწერ-  
მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს  
მოსწავნილი: სახელი, გვარი და  
საცხოვრებელი ადგილი დამწერისა

## რედაქციისაგან

ვისაც გას. „თეატრი“ ნახევარ წლით ჰქონდათ  
გაწერილი, იმათ ვადა შეუსრულდათ, სვედრი ნომ-  
რები სრულიად გაეკზავნათ და ამისათვის  
შემდეგი ნომრების გაგზავნა ამით მოესწათ.

სტენის მოკვარულნი სშირად მოკვართავენ სოფელ სსვა და-სსვა  
ქლანქებიდამ და დაბა-სოფლებიდან თსოკნით: მცხოვრებლები კოთსო-  
ვენ წარმოდგენის გამართვას, ხვენ დიდის საამოვნებით დაკავაყო-  
ფილებდით მთსოვნებების ს-ურვილს, მაგრამ ჰიესები არა კვაქსო  
და თუ მოკვობებოდეთ რამე ადვილად წარმოსადგენი ჰიესა — გვა-  
თსოკეთო. ამის გამო განვიზრასეთ „თეატრში“ ვბუჭდეთ ჰიესები  
და შემდეგ, სოგი მათგანი გადაბუჭდეთ ცალკე წიგნებად.

„თეატრიდამ“ გადაბუჭდილი ჰიესები გასეთის სელის-მომწერთ  
იაფ ფასად დაეთობათ.

## ახალი ამბები

გრაფ ტოლსტოის დრამა «Власть тьмы» პარიზის სცენაზე გადაიტანეს. ეს შესანიშნავი დრამა ყოველ დღე თითქმის ათასობით მაყურებელს იწვევს. ბილეთებში ერთი ათად აძლევენ ფასს და მაინც ვერ შოულობენ, თუ რამდენიმე კვირის წინად არ ჩაეწერებიან.

— აქვალის ქუჩის მცხოვრებლები შემოგვიჩივიან, რომ ზაფხული გავიდა და ჩვენი ქუჩა არც ერთხელ არ მოუტრყამთ, თუმცა აქვალის წყალის კრანები ბლომად დადგესო. საკვირველია ქალაქის მმართველების საქმე, მთელი ქალაქი ლამის ჭაობათ აქციონ; ხანდახან წვიმიან დღეშიაც კი ორჯერ რწყამენ ზოგიერთ ქუჩებს და რა იქნებოდა, რომ აქვალის ქუჩაც მოარწყვეინონ დღეში ერთხელ მაინც.

— იმისთანა ძნელი არა არის-რა, როდესაც რედაქტორი, ან გამომცემელი რომელიმე გაზეთისა ცდილობს ყველაზე მეტი ახალი ამბები ბეჭდოს თავის გაზეთში, მაშინ როცა ამბის შემკრებები ქუჩაში ჰყავს მოხვეტილი სიაფის გულისათვის, რომელნიც ცდილობენ ათასი რამ მოაპორონ, ოღონდ კი მეტი სტრიქონები გამოუვიდეთ, რომ ერთი ჭიქა არყის ფასი მაინც მიიღონ:

ამ წინაზე გაზ. „Тифл. Листокъ“-ში იყო დაბეჭდილი, რომ ერთომ თელეთის გზაზე მოკლულის, ბ-ნი გაბაევის ცხენი სოფელში მიჰყვანდათ და იმ ადგილთან რომ გაატარეს, სადაც იმისი პატრონი მოკლეს, ხელიდამ წაუვიდა ბიჭს, მივიდა, ჯერ დაჰსუნა და მერე ლოკვა დაუწყო თავის პატრონის სისხლს და... იქვე დაეცა და მოკვდა.

როგორც ჩვენ შევითყუეთ ამ წინაზე მოკლულის გაბაევის ძმისაგან არა რა ამ გვარი შემთხვევა არა ყოფილა იმის მეტი, რომ მოკლულის ცხენი სოფელში ჰყვანდათ და იქ მოკვდა თავის ავადმყოფობით... და არა პატრონის სიკვდილის დარდით.

— დღეს, მარიამობის შვიდს, სცენის მოყვარულნი ახალ-ქალაქში აპირობენ წარმოდგენის გამართვას. წარმოდგენილი იქნება ა. ცაქარლის კომედია „ბაიყუში“. მონაწილეობას მიიღებენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ვ. ცაგარელი, კ. ერისთავი და ა. ნებიერიძე. გაბუნია-ცაგარლისა იმღერებს, კ. ერისთავი და ა. ნებიერიძე წაიკითხავენ: პირველი ლექსებს, მეორე სცენებს გლახების ცხოვრებიდან. ახალქალაქში ამ ზაფხულს, ეს, გეგონია, მეოთხე წარმოდგენა იმართება საზოგადო საქმის სასარგებლოდ. ღმერთმა ინებოს, რომ სხვა სოფლებში მცხოვრებთაც მიჰხადონ ახალქალაქელი ახალგაზღობას.

— წარსულ პარასკევს, შაბათს და კვირას იქეთა სიცხეები დაიჭირა, რომ მთელ ამ ზაფხულს არა ყოფილა: 50 გრადუსამდე აღიოდა სიცხე. თბილისელებს სუნთქვა შეგვენუთა, ვერც სახლებში და ვერც ბაღებში ვერ გვეპოვნა ადგილი, სადაც შეგვძლებოდა თავისუფლად ამოასუნთქვა. ქალაქის მმართველობას ავქალის წყალი მიღებში ვერ დაუყენებია შიშით, რომ არ აყროლდესო — წვიმიან დღეშიც კი რწყავს ქუჩებს და იმ სიცხე პანაქებაში კი არამც თუ ქუჩების მოსარწყავი — დასალევი წყალიც კი აღარა გვექონდა და ისევე უპრაველებისაგან დაწუნებულ მტკვარს მიემართეთ. რა იმედი გვექონდეს, რომ მუდამ ამ დღეში არ ვიქნებით და უპრავეის უწყსოებას ბოლო მოვლება როდისმე.

---

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ინფანტა\*)

(ბაღდადა ბონკურიდამ)

### I

დამქვანარ ყვავილივით ფერ-წასული, თევ-დანზრდი იჯდა და გულ-ამოსკენით ტირიდა ინფანტა. ჰქონდა მიზეზი რისთვისაც

\*) დანიის მეფის ქალს საზოგადო სახელი ინფანტა ჰქვია.

ეტირა: ამის მამას სულ დაავიწყდა მისი გათხოვება. მეფემ დაინახა თავის ქალის ცრემლები, გაიგო მისი კავშანი და ჰკითხა:

— რა დაგემართა, ჩემო ძვირფასო? რისთვის აფრქვევ ცრემლებს? არ ხედავ როგორ თან და თან ვარდივით ქვნიები? მითხარი, შეილო, რა მიზეზია?

— მიზეზი?.. მიზეზი საკმაოა, მამავ!.. მომბეზრდა მარტო ცხოვრება; მე არა მყავს ცხოვრებაში უღლის გამწევე; მე არა მყავს საყვარელი ქმარი. სამიღვან მარტო მე დაერჩა გაუთხოვარი!..

— რით შემძლიან გიშველო, შეილო? მე კი არა ვარ ამ საქმეში დამნაშავე, შენა ხარ: მოვიდნენ მოციქულნი აკვიტანიილამ, ჰერცოგისაგან გამოგზავნილნი შენი ხელის სათხოვნელად; ნოჩმანიილგან, რობერტ-შაფისაგან, მაგრამ შენ არც ერთის მოსმენა არ ისურვე. მე კი ჩემს სამეფოში არვის ვხედავ, რომელიც შენი ღირსი იყოს.

— ჰმ, ღირსი!.. არა, მამავ, თქვენ არ იცით ვინ არის ჩემი ღირსი! თქვენ არ იცით ვის ელტვის და ვის ჰყავს დატყვევებული ჩემი გული! ეს არის მამაკი და მშენიერი გრაფი— იანო. მე მინდა იმას მიეთხოვედ, მანდა ის იყოს ჩემი ქმარი და მბრძანებელი.

— შენ ნდომულობ შეუძლებელს! შენ კარგათ იცი რომ იანო ცოლიანია.

— რა ექნათ რომ ცოლიანია! მოჰკალით ის, რადგან წამართვა იანო: იანოს ჩემთვის ჰქონდა სიტყვა მოცემული, რომელიც მან დაარღვია სხვის შერთვით. თუ იანო არ იქნება ჩემი ქმარი, ცრემლ-ქვეშ დავაბნელებ ჩემს ღღეს, მწუხარებით მოვიკლავ თავს.

დაუიქრდა მეფე... გასცა ბრძანება მოეხმოთ გრაფი იანო. სისაძაგლე კია, რასაც ჩავდივარ, მაგრამ მე უნდა ენახო ის! მე, მე უნდა ველაპარაკო გრაფს შემადრწუნებელ საქმეზედ, რომელსაც ჩემი ქალის დასახსნელად ჩავდივარ. ამბობდა მეფე.

## II

გრაფი იანო თავის მშენიერის ცოლით იჯდა ბალში, გრა-



ფინიას თავი იანოს გულზედ მიეყრდნო, პაწია ანგელოზივით ბავშვი კი თავის გულში ჩაებუტებინა და სიყვარულათ ქცეული თავის ქმარს, რომელიც ფანტურზედ მშვენიერად დამღერდა, ყურს უვდებდა. თვით ბუნება შურით უცქეროდა ამ ორთა აღერსს. ამ ნეტარების მორეეში ჩაფლულთ ცოლ-ქმართ თავზე წაადგა მეფისაგან გამოგზავნილი „პაქა“ და უთხრა: „გრაფო, მეფე საჩქაროდ გიბარებს!“

— ეს რას უნდა ნიშნაედეს! წაჩმოსთქვა ვაფითრებულმა გრაფინიამ, რომელმაც თავი მალლა აიღო და მრისხანებით შეხედა წინ მდგომს „პაქას“. მეფესთან ამ დილით იყავი, განაგრძო გრაფინიამ, და არა უთქვ მს რა, ეხლა კი საჩქაროდ გიბარებს. ღმერთო ჩემო, ეს კარგს არას მოასწავება!..

— დამწიდი, ჩემო სიცოცხლე, მიუვო იანომ. აბა რა უნდა იყოს?.. ძალდატანებით წარმოსთქვა და გასწია სასახლისკენ. მეფე წინ მიეგება წარბებ-შეკრული და დაღვრემილი.

— მაქვს პატივი ხელზე გეამბოროთ, თქვენო დიდებულებავ! რას მიბრძანებთ მოწყალეო მეფევ? თქვენმა „პაქამ“ მითხრა, რომ მეფე საჩქაროდ მ.ბარებს.

— ღირსი არა ვარ, რომ ამ მოწყალებისათვის ხელზედ შემთხვიოთ. მე გაჯილდოვებთ დღეს თქვენ, გრაფო. მე გაძლევთ თქვენ ცოლათ ინფანტას.

— მეფევ, მე წელიწადზედ მეტია, რაც ცოლიანი ვარ. ოთხი თვის ბავშვიცა მყავს!

— ცოლიანი ხართ? ეს დიდი დამაბრკოლებელი მ.წეზი არ არის. თქვენ უნდა მოჰკლათ თქვენი ცოლი და შეერთოთ ინფანტა!

— როგორ? მე უნდა მოეჰკლა ჩემი ცოლი?! მეფევ, იმას სიკვდილი არასფრით არ დაუმსახურებია!..

— გაჩუმდით, გრაფო, გაჩუმდით! თქვენ ადრე ჩემი ქალისთვის მიგკიათ სიტყვა და. . მეფის ჭალთან ხუმრობა არ შეიძლება.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, მეფევო! მაგრამ სიმაართლე თხოულობს ჩემს სიკვდილს და არა ჩემი ცოლისას, რომელსაც არაეითარი შეცოდება არ აქვს. თუ მე ჩავიდენ ანისთანა სისა-

დაგლეს და ჩემის ხელით მოვეკლავ ჩემს საყვარელს ცოლს—სა-  
აქაოსაც და სიიქიოსაც დატანჯული ვიქნები.

— მე გიბრძანებთ დღესვე მოჰკლათ გრაფინია! გესმისთ, თუ  
არა? მეფის ბრძანება უნდა შესრულდეს—წარმოსთქვა მრისხანეთ  
მეფემ...

სასახლიდამ გამოვიდა გრაფ იანო სეველიანი და გამოსწია  
შინისკენ. ის გრძნობდა თავის გულში უშრეტ ცეცხლის ალს.  
ტანჯვა-წამება უფრო და უფრო ემატებოდა, რამდენიც სახლს  
უახლოვდებოდა. დაინახა მშენიერი გრაფინია, რომ სახლის კა-  
რებთან იდგა და ელოდებოდა თავის მეუღლეს. გრაფინია ბავ-  
შვით ხელში მიეგება თავის საყვარელს ქმარს. ოჰ სიკვდილო,  
სადაა საწრეტელი შენი!.. ჯოჯოხეთო, სადაა ძლიერა შენი(!!!)  
რატომ არ გასქდები მიწავ და თან არ ჩამიტან ამ დღას მომ-  
სწრე იანოს(!). წამოიღულულულა იანომ ცოლას დანახვაზედ.

(შემდეგი იქნება).

## უცნაური გასწოება

(თარგმანი)

კომედიას ერთ მოქმედებად.

მოქმედნი პირნი:

ნადეჟდა ვასილიევნა ჩაროვისა, სასაღვასადა მდიდარი ქროიკი.

ანდრეი მიხაილიჩი კორნევი.

ანიუტა, სასაღვასადა ქალი, სადეჟდას მოსამსახურე.

სცენა წარმოადგენს კარგათ მორთულს ოთახს, ერთ მხარეს საღვას ქალის სა-  
წერი სტოლი, ზედა ამისი პრიბორი და ზარი.

გ ა მ ო ს გ ლ ა შ ი რ გ ე ლ ი

ანიუტა და ჩაროვისა

ანიუტა. (ნასკენათ გადებულ კარებში ღაზარაკობს) დარწმუნ-  
ებული ბძანდებოდეთ, ჰოლაკონიკო, დარწმუნებული... არ დამავიწ-

უდება... ახ, რა სამწესროა, ნადეჟდა კასილიკუნას ძალიან ეწეინება, რომ შინ არ დაგიხვდათ. გადავცემ, უკველით გადავცემ.

**ჩაროვისა.** (კარბთან იყო დამალული, ისე კი რა ხალხი სვლავს) წაჰიდა?

**ანიუტა.** გიანლათ. მგონი ვერ შეგამჩნიათ (აძლევს სადარბაზო ბარათს) მითხვდა ეს გადმოვცემ.

**ჩაროვისა.** (გადაგდებს ბარათს სტოლზე და თითონ ჯდება) ესეც ერთი იმათთაგანი ვახლავთ. დემეტო ჩემო, რა თავ-მამბეზრებელი და სულელი ხალხია ეს კაცები ხან და ხან.

**ანიუტა.** ხან და ხან კი არა, საუბედუროთ, სძირათ!

**ჩაროვისა.** როგორ, შენც შეგამჩნევია?

**ანიუტა.** რასაკვირველია!.. მაგრამ მე სულ სხვა მიზნებით. თქვენ იმიტომ, რომ ისინი თავს გაბეზრებენ, გაწესებენ და მე კი იმიტომ, რომ არც ერთი, ტუტუფინი კი ყურადღებას არ მამც-ცევს. დემეტმანი მართლაც მოკახსუნებთ, ქმრის გულისთვის რას არ ვიზამდი, ოღონდ კი იყოს კინძე; როგორც უნდა იყოს, თუნდა ძალიან ბუბურც ოღონდ გაუთხვავარი არ დაგებრდე.

**ჩაროვისა.** ეჰ, მანამ ვაკოთხოვდებით, ყველა აგრე ვიფიქრობთ, მაგრამ მერე კი... მე გამომივლია ეგ მშენიერება, ეგ ჩვენი ნატურა. აჟ... მოგონებაც კი მესარება.

**ანიუტა.** ყველანი ხომ ისეთები არ არიან, როგორც თქვენნი ქმარი იყო. მე მახსოვს თქვენი ქმარი, იმანუდ კი, მართლაც, რაც უნდა უბედური ვეოფილიყავ, თავის დღეში არ ვაკოთხოვდებოდი. თავი სულ ტიტკვლავ ჰქონდა, კბილები ჩახსმული, ცხვირის ნესტოები ბურ-ნუთისაგან შეღებილი, ღამზარაკის დროს დარბლებით კუძისობდა ხოლმე ცხვირ-შირი. უჰ, ნეტა როგორ მისთხოვდით იმას. აი ეს-ღა, რა გიჭირთ? ახალგაზდა ქვრივი, ღამაში, მშენიერი, ჭკვიანი და მდიდარი. ესლა რომელი ჰქვრცოვაც უნდა იყოს მოკერიდე-ბათ, მერე მაგასთანა მდიდარს?

**ჩაროვისა.** აბა, უბედურებაც ეგ არის, რომ მდიდარი ვარ რით დაგვიჯერო, რომ ჩემი მითხენელი მე მითხოვლობს და არა ჩემს სიდიდერეს; მე რომ ღარიბი ვიყო, მაშინ სხვა არის. ვისაც ნამ-დეილის გულთ ვეყვარები ის მითხოვს, თორემ რათ მინდა ესლა

ან ეს სილამაზე, ან ეს სიმდიდრე, როდესაც იმას ვერ ამოკარგევ, ვისაც ჩემი გული ეტრფის.

ანიუტა. არ მესმის რა უნდა ბძანათ მაგითი?

ჩაროვისა. ის, რომ ყველა, ჩემი ნათესაუბი და საზოგადოებაც იმისთანას მომასვევენ თავს, ვინც თითონ მოსწონთ და ვინც იმათი საკუთარის აზრით არის კარგი.

ანიუტა. ჰა, და მეც იმათ რა ვუწერ უგდებთ? თქვენმა მხემ არავის არაფრათაც არ ჩავუთვლიდი... ძალიან საჭიროა? საზოგადოება!

ჩაროვისა. შენი საჭე, რასაკვირველია, სხვა არის, მაგრამ მე საზოგადოების აზრზე ვარ დამყარებული; მე არ შემიძლიან თავისუფლათ ვიცნოვარ.

ანიუტა. ოჰ, ეს საზოგადოება! მადლობა ღმერთს, რომ მეც არ ვეკუთვნი მაგ რაღაც საზოგადოებას. მე თქვენს ადგილას სულ სხვანაირათ მოვიქცეოდი. მომეწონა—და გათავდა. აი, მაგალითად, სიმეონ ნიკოლაევიჩი—რადღაც უყურებთ? რა ურიგია?

ჩაროვისა. სიმეონ ნიკოლაევიჩი? მე ის როგორღაც არ მომეწონს, მაგრამ, მგონი თითონაც მისჯდა, რაც აქ გადმოკედით, ერთის მეტათ არა ყოფილა. როგორღაც საშინლათ არეული იყო, სულ რტხუნოვდა, მაგრამ რილაცის თქმა კი უნდოდა.

ანიუტა. ჰმ, მე ვიცი მიხეზი. იცით რა? ჩვენმა შვეიცარიამ დაიშხა, რომ თურმე სემეონ ნიკოლაევიჩი, მანამ ჩვენ გადმოვიდოდით, ყოველ დღე დაიარებოდა აქ.

ჩაროვისა. რათა? რისთვის? სად?

ანიუტა. აი, აქ, გვერდით ერთი ვილაც სოლისტკა დგას დუბორინისა და თურმე ისე სშირათ იმისთან დადიოდა.

ჩაროვისა. ჰო!.. აი რაშია საჭე, ესლა კი აღარ მივეწერ იმისი ისეთი მორტსუობა და სიხუმი. . აბა, რასაკვირველია, რომ მაგისთანა ქალების საზოგადოება უფრო სანისტურესო და კარვია გაცებისთვის. ჰო, ესლა კი მესმის!

ანიუტა. გახსოვთ, როგორ გაციითლდა თქვენ რომ ამ სახლის დაჭერა უთხარით?

ჩაროვისა. ესლა კი ცხადია. კიდევ იმიტომ მიშლიდა და თითონვე ექებდა სხვა სახლებს, რომ აქ არ გადმოესულიყავით...



მესმის, მესმის... ოხ, ეს გასაწყვეტნი, ღმერთმანი მაგისტანა ქა-  
 ლები ბეკრათ გვეზობიან ჩვენ და უფრო ბედნიერი ანაჲ კსლანდელ  
 დროში როცა უმაწვილი კაცი მივა იმათთან—ის მაშინ მხიარულიც  
 არის, ღაზარაკობს, გიჟობს, სუძირობს, ერთი სიტყვით საკუთარს  
 სასლში ჭგონია თავის თავი და ჩვენთან. „რა! რადღაც შრანტვა-გოგნა,  
 რადღაც ფოლორცობა, ტყუილი, კომპლიმენტები...“

ანიუტა. (ივინის) ხომ არა გშერთ ქაღბატონო?

ჩაროვიცა. შურიით ვი არ მშურს, მაგრამ სწორე ვითოსა მს-  
 ლიან ვი მწუხის! რომ არ შეიძლება: მთელი შენი სიცოცხლე უნდა  
 იჯდე ჩუმათ და ყური მტკივით გეჭიროს ხალხმა არა იღაზარაკოს  
 რა შენზედ, რადღაც საზოგადოების აზრს უნდა ემორჩილებოდე. ის იქ  
 მხიარულობს, ივინის, სტანოვრობს თავისუფლად, ჩვენთვის ვი არა-  
 ფერი ამისთანა დროს გატარება არ არის... სამაგლობა სწორეთ: უნდა  
 მთელი დღე იჯდე და რომანებს სწერდე ან კითხულობდე. (დგება და  
 საჩქაროთ გადის მარცხნივ).

ანიუტა. (მარტო) ოჲ, ესღა ვი ისევე მოაწყენს. ეჲ, ამათაც  
 კერაფრით ვერ ავმყოფილებს ღმერთი, ყულაფერს უჩივიან და მხო-  
 ლოდ მაშინ, როცა მეწყენებათ... (ისმას ზარის ხმა) ოჲ, მგონი  
 კიდევ ვაზიტა, ნეტა გავართოს ვინმემ მაინც, თორემ ეს რომ მო-  
 აწყენს, კარში გასულა სჯობს.

## გ ა მ ო ხ გ ლ ა მ ე ო რ ე

### ანიუტა და კორნევი.

კორნევი. (შემოდის კარგათ ჩანდიული უმაწვილი კაცი, ფრან-  
 ტი, ძლიან თავისუფლათ იტყოს თავს, ათვლიერებს) ეს მგონი  
 გოგო უნდა იყოს.

ანიუტა. რა გნებაში?

კორნევი. მე? მე მსებაში თქვენი ქაღბატონი, მოახსენეთ, რომ  
 იმათი ნახვა მსურს.

ანიუტა. თქვენი გვარი?

კორნევი. ჩემი გვარი? ეგ საჭირო არ არის. უთხარით, რომ  
 სემეონ ნიკოლაევიჩისაგან ვარ გამოგზავნილი.



ანიუტა. სემონ ნიკოლაევიჩისაგან? ემ წუთაში. დაბმნდით  
 ჰატარა ხან. (გადის მარცხნივ)

## გ ა მ ო ხ ვ ლ ა მ ე ხ ა მ ე

### კორნევი

კორნევი. (თვალს გააუოლებს) არა უჭირს რა! (აჯვარებს)  
 „დაბმნდით ჰატარა ხან“, ძალიან მარდილიანათა სთქვა... ესლავე  
 ეტყობა საქმეს, რომ გასტრის, რასაც ვიფიქრობ. წარმოიდგინეთ მი-  
 ზესი ჩემის აქ მოსვლისა! შეედივარ ღონდონის სასტუმროში, სა-  
 უზმის საკმელათ, მოვიხედე ჩემი ძველი მეგობარი სენიჩკა ზის... ათი  
 წელიწადი არ გვენასა ერთმანეთი. მიკუდი, დაკუქი იმასთან, დავიწყოთ  
 ჩვენი წარსული დრო-ნეტარების მოგონება... როდესაც სასული გვი-  
 დედდა და გადმოდიოდა; იმას წინათ დიდი შეძლება ჰქონდა. მე ვუ-  
 ამე ვეკლა ჩემი თავს გადასაკალი და გამოუცხადე, რომ უმეტესად  
 ჩემი საქმისთვის ოცა ათასი მანეთი მიჭირს. ეს როგორღაც ვერ  
 ექაშნიკა იმას, რადგანაც დიდი ხანია თურმე, რაც ფულებს გამოე-  
 საღმა, მაგრამ იმედი მაინც მომცა. მე, ამ ცოტა ხანში ერთ ქვრივ-  
 ზედ ვიწერ ვვარსაო, ის, ჩვენ რომ ვიცით, ბლამათა აქვსო (თითუ-  
 ბით აჩვენებს ვითომ ფული) და მაშინ დიდის საიმოვნებით მოგვი-  
 მო; თუმცა ვერ ღმერთმა იცის რა ექნება, მაგრამ ცარიელი იმედიც  
 კი სჯობია სულ არაფერს. მაგრამ ამის სამეგობროთ შენ უნდა მო-  
 მხმარო! აი რაშია საქმეო: მე ერთ ქალთან ცოტა რაღაც საქმეები  
 მაქვს, იმ ქალს ჩემი წერილები აქვს, და თუ ჩემი ვვარის წერა გაი-  
 გო—ცუდათ მოვა საქმეო. ის წერილები როგორმე უნდა ხელში ჩა-  
 ვიგდოთ და რადგანაც ვიცი იმის ძუნწი ხასიათი, ასი თუმანი მო-  
 ვუძინადე და აი ეს ფულიც, გამოძირთვი როგორმე ის წერილებიო.  
 მეც, რასაკვირველია, დავთანხმდი. „მოვარსკის ქუჩა, მათე ნომერი,  
 დებორინისა“. და აი მეც აქ კასლავართ (ისელება) ძალიან კარგათა  
 აქვს აჭურობა მოწყობილი. სეთი თუმანი ვამაგირი, ასი თუმანი  
 სასლის ქირა, არ იცის ქალმა, მოდით და თქვენ სორისტკა დაუძი-  
 სეთ. ეს ეველა კარგი, მაგრამ არ ვიცი საიღამ დავიწყო, ერთიც ვნა-  
 ხოთ ჩვეულებისამებრ სტენაზე კოხოს თავის თავი და რაღაც ტი-  
 რილს, გულის წუხილს და ისტერიკებს მოჭეკოს. უჭ; მგონი, მოდიან.

## გ ა მ ო ს გ ლ ა მ ე ო თ ს ე

### კორნევი და ჩაროვისა

კორნევი. (მიეგება) სლამო კარგათ ყოფნისა.

ჩაროვისა. გმადლობთ! თქვენ სემეან ნიკოლაევისაგანა ბძანდებით?

კორნევი. სწორეთ, დიას!

ჩაროვისა. მე დიდი ხანაა არ მინახავს, როგორ არის? შეუძლათ ხომ არ არის?

კორნევი. ახა რას მიბძანებთ, შეუძლათ გი არა, ვუარის-წერას აზირობს და რაღაც საქმეებშია გართული.

ჩაროვისა. ოჲ, ესე მალე? აღარ იშლის ჯა? უფრო კარგი თუ კვრება, მე მგონია უფრო მალ-მალ უნდა ვხასხუ.

კორნევი. (იქით) მალ-მალ ვეხასხუ (უკვირს).

ჩაროვისა. მაინც რამ მოგიყვანათ ჩემთან, გნებამთ მითხრათ რამე?

კორნევი. (დაჟდება) დიდის სიამოვნებით. მამ თქვენ გცოდნიათ იმის სისულელე, რომ თავისუფლებას ჭყიდის; უზომიანა თავისთვის ვიღაც ქალი და მთხროვა მოკუსულიყავ თქვენთან და გამოძეცხადებინა, რომ თქვენს შორის ყველაფერი გათავებულა და გთხროვი წერილები დაუბრუნეთ.

ჩაროვისა. წერილები?

კორნევი. წერილები, დიას! ქართული ენა არ გესმით? წერილები, წერილები!

ჩაროვისა. მოითმინეთ, მე არაფერი წერილები არა მაქვს!

კორნევი. ხუშირობთ, ქაღალტანო, გაჭეთ... და თუ არ გემეტებათ—გაკვალათ მაინც (იღებს ფულებს) ისიც გაძლევთ ზოგიერთ წერილებს, თუმიცა თქვენები არ არიან, მაგრამ მაინც სასარგებლოა (დომილით ხელში ატრიალებს).

ჩაროვისა. გამიგონეთ, თქვენ გავიწყდებთ ვისთანა გაჭეთ საქმე?

კორნევი კვ რა ვილთა, არ მესმის? ვისთანა და მშენიერ ქალთან, თუკრის გარსკვალთან, რომელიც, რასაკვირველია, ზაქის

ტრიკოში უფრო უმშვენურესი იქნება. არ შევხვედრებარ აფიშაზე თქვენს გვარს: „დე ბორინისა“, თორემ მივაქცევდი ყურადღებას.

ჩაროვისა. (ივინის) ხა, ხა, ხა... რა კარგია, ღმერთო ჩემო, ხა, ხა, ხა.

კორნევი. (უგვირს) რა მშვენურათ გიხდებათ ეგ სიცილი... (იქით) რა ღამაში თეთრი კბილები უჩანს და.

ჩაროვისა. ესლა კი მესმის. სემეან ნაეოლაკეიშა დაგაკვლათ წერილები მადემუსელ დე-ბორინისას გამოართოთ?

კორნევი. სწორეთ, დახს, მადემუსელ კეროხკას. თქვენ კეროხკა არა გქვანთ?

ჩაროვისა. დახს, დახს, (ივინის) გამოიცანით! (ივინის).

კორნევი. როგორ, მშვენურო მამინკა, თანახმა არა ხართ დაუბრუნოთ წერილები? თქვენ ხომ მამო გქვანთ?

ჩაროვისა. უპატრავათ (ივინის) და კვლარ შემოიკაგებთ სიცილი (ივინის).

კორნევი. ინებეთ, ბატონო, ნუ გრცხვენიათ, გაიცინეთ, გაიცინეთ, ძალიან გიხდებათ. (იქით) რა მშვენურია თქუბა აქს და! (იმას) გაიცინე, გაიცინე ჩემო ცუტრუშელა.

ჩაროვისა. (გაჯავრებული) რა?

კორნევი. არაფერი, ეს ჩემი ჩვეულება გასლამთ, მე კვლავ ცუტრუშელა ქალებს ცუტრუშელას ვქმნი.

ჩაროვისა. ეგ კარგია, თქვენმა მხემ, ძალიან მოწეინილი ვიყავ და ესლა კი. .

კორნევი. ესლა კი გამხიარულდით განა! ძალიან, ძალიან მოხარული ვარ, მაგრამ ერთი ეს მიბძანეთ რა გამხიარულდით: ჩემი მოსულის მიზეზი, თუ მე თითონ.

ჩაროვისა. არა, დახს მიზეზია ძალიან სსსცილო, და რაც შეგეხებათ თქვენ...

კორნევი. მეც სსსცილო ვარ განა? დაათაკეთ, ნუ გრცხვენიათ.

ჩაროვისა. (ივინის) არა სსსცილო ვი არა, მაგრამ... (ივინის) რაღაცა... ხა, ხა, ხა.

კორნევი. მაგრამ რაღაცა? (იქით) მეონი ისეც სსსცილო



სჯობდა ამ რაღაცას. კაცი რომ დააკვირდეს ეგ ერთი და იგივეს, ჩემო სონიჩკა, თქვენ ხომ სონა გქვინათ?

ჩაროვისა. არა, ბატონო, ვერ გამოიცანით!

კორნევი. ძალიან სამწუხაროა, ძალიან კარგი სასულია... სულაი კი სონა გრძეოდათ... მე თანახმა ვარ, რომ ჩემი მდგომარეობა სასაცილოა, მაგრამ მეგობრისთვის... სწორეთ გითხრათ, უკანრავათ კი ვარ ამ საიტევაში, და ამისთანა მშვენიერებას, სიმხიარულეს, საიტევა-ზასუსს არ მოკვლადი ხორისტკაში. და იცით რა? თქვენს ნასვის შემდეგ უნდა ვსთქა, რომ სემელ ნიკოლაევიჩი ძალიან შემცნდა, რომ თქვენთან სწევტს გაშირს და ვილაც ჭირავს დედაკცს ირთავს, ვილაც ჩაროვისა, აი დასწევკლას ღმერთმა!

ჩაროვისა. თქვენ იცნობთ იმ ჭირავს?

კორნევი. ძალიან კარგა. ერთი რაღაც კმძაკი, ტუტუტი, არაფერში არ ურევა.

ჩაროვისა. ხშირათ დაიარებით იმასთან?

კორნევი. მე, ვთქვით, არც კი მინახავს, მაგრამ როგორც სემელ ნიკოლაევიჩმა ამიწერა... თურმე ერთი თავის ნათქვამი, ანსხლი.. (იქით) რა მშვენიერი თვალბი აქვს.

ჩაროვისა. მას არც ის იცით რას იწერება იმ წერილებში?

კორნევი. ოხ, ღმერთო, რა უნდა ეწეროს? რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევაში საარშიყო საიტევა, საარშიყო გრძნობა ეწევა გამოხატული, მაგალითად: თქვენმა თვალბმა ჭეყანა დამახსხვეს, მე მარტო ესლა მივსუდი წუთის სოფელის მიმდინარეობას და სხვადასხვა. ახ საარშიყო წერილებში რა იწევა კარგი, თუ არ ამ გაარი სისულელე აი თქვენისთანა ქალს, რომელსაც ეველა ენდობა საიდუმლოს და (სელში ათამაშებს ფულებს) ამისთანა ლიტერატურაზედ არ იტყვის უარს .. ეგ...

ჩაროვისა. (ერთბაშით) კარგი, მიბოძეთ ეგ ფული!

კორნევი. ინებეთ, შენი ჭირიმე! (იქით) რა მიმხიდველი ხელები აქვს.

ჩაროვისა. რადგანაც მომეცით ეს ფული... ხომ მენდობით?

კორნევი. (დაწმუნებული) რას მიბძნებთ?

ჩაროვისა. თუნდა წერილებიც არ დაგობრუნოთ?

კორნევი. თავის დღეში თქვენ მაგას არა აქვთ, თქვენ არ მოგისდებათ! თქვენისთანა ქალი, ამ გვარ სიმრუდეს არ ჩაიდენს, არ იცრუებს...

ჩაროვისა. დამშვიდდით, მე არ ჩაიდენ მაგ საქმეს, მაგრამ თქვენ ცოტა ღოდნა მოგისდებათ სანამ ვიპოვი.

კორნევი. დიდის სიამოვნებით. სხვათა წერილებიც ბევრი გექნებათ, რაღა თქმა უნდა, და ბევრი ძებნა მოგისდებათ. მოდით მეც ვიშეკვლით, ხედა ნინიკა, ერთათ ვეძებთ, თქვენ სომ ნინა გჭიანთ?

ჩაროვისა. იქნება არ გეცნალოთ-მეთქი.

კორნევი. რას მიბძანებთ, ათასიც რომ არ მეცნალოს, მაინც კიდევ რაც მეტი სანი დაგწერები აქ—ჩემთვის სისიამოვნო იქნება. (იქით) რა ფესები აქვს და!

ჩაროვისა. (ზარს რქეს).

კორნევი. ღმერთმანი, გაკვირვებული ვარ, ეს ვირი, ისა, უგატრავათა ვარ ამ სიტყვაში, როგორა გნელთ ვილან რსურ ქვრიუ-სედ?..

ჩაროვისა. რას იზამთ! სსკა-და-სსკა გემოვნება განსაკო?

(უზმლეგი იქნება)

## გ ა ს ა რ თ მ ბ ი

ებათ-აღებულნი ტურნაშვი. ნიუ-იორკში ერთს „მოდის“ მაღაზიის პატრონს აღუკრძალავს თავის მოსამსახურე ქალებისათვის ტურნიურების ტარება. ყოველი ქალი დღეში ხუთჯერ მაინც ისწორებს ტურნიურსაო, ასე ჰსჯის ეს ახირებული კაცი, თითო გასწორებაზე უნდებო ერთი წუთი, მაშასადამე ყოველი ქალი ჰკარგავს ხუთ წუთს. თორმეტი დედაკაცი, რომელნიც მე შემსახურებიან ჰკარგავენ დღეში ტურნიურების გასწორებაზე ერთს საათს და რადგანაც ამ დაკარგულ საათში მე ჯამაგირს ვაძლევ—ეს ფული არა სსარგებლოდ იზარჯებაო... ასე აუღა-

ლედნენ ტურნიურებს, რომ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩქარა მოუსპობენ.

თავისა შრამის დაფასება. პენსილვანიაში (ნიუ იორკში) ერთი ლამაზი ქალი გათხოვილა თ ერთ მ ე ტ ჯ ე რ. ერთ ქმარს რომ შეირთავდა, მეორე-მესამე დღეს სთხოვდა რამდენსამე ასს დოლლარს, ვითომ და თავისი ღარიბი დედისათვის გასაგზავნელად, და რაწუე მიიღებდა ფულს—გადიკარგებოდა ხოლმე. ასე აღვილად იგებდა ფულებს. ამ ბოლოს დროს № 10 და № 11 ქმრები მეტის-მეტად გაუცარცვავს და ამათ სასამართლოში მიუქედებიათ ქალადი და თხოულობენ, რომ გაქცეული ცოლი დაუბრუნდეთ. ენახოთ როგორ გაჰყოფენ ამ მშვენიერ ქალბატონს ისე, რომ არც № 10-ს დააკლდეს რამე და არც № 11-მ იზარალოს.

„ხანაღა“-ფილანთოფიკები. ორი მალოროსელი მიდიოდა გზად და ყოველ ხუთ ვერსზე დუქანი ხედებოდათ. შედიოდნენ და ჰსომდნენ არაყს. კარგად შეზარხოშდნენ და იფიქრეს დასვენება. ზედ გზაზედ დაწინენ, თვალები ცას მიაჩერეს და დაიწყეს მსჯელობა. ერთი ეუბნება მეორეს: ჰა, გრიცკა, რამდენი ვერსი უნდა იყოს ცამდინ?

— ხუთი ვერსი იქნება—მიუგო მეორემ.

— ტუტუცო შენა, ხუთ ვერსზე მეტი რომ არ იყოს ხომ დუქანი გამოჩნდებოდა კიდევ აქედამ.

პროფესორი ლექციის კითხვის დროს სტუდენტების ყურადღებას აქცევს ერთს კოჭოს ქალზედ და ეკითხება:

— აი, ყმაწვილებო, ამ ქალს ერთი ფეხი გრძელი აქვს და მეორე მოკლე, რას იზამთ ამ გვარს შემთხვევაში რომ მოგმართონ თქვენ.

მსმენელ სტუდენტებთა შორის ერთი კავკასიელი სომეხი სტუდენტი აღარავის აცლის და პასუხს აძლევს პროფესორს:

— რა მოგახსენოთ, ბნო პროფესორო, და ამ გვარ შემთხვევაში რომ მამა ჩემი შავსწროს, იგი უადვილესს ღონის ძიებას მიჰმართავდა.

— როგორა?

— ისე, რომ მოკლე ფენის საცმელს ათ თუმნიანების ქუსლს გაუყვებდა და ამ სახით თავის ქალს სრულგობით გაანათავისუფლებდა სიკოქლისაგან!

ფ ო ს ტ ა.

ქ ე ნ ე ვ ა. — ცალკე წიგნებადაც კვინდა გადავაბეჭდინათ და სანამ სულ არ გამოგზავნათ — ბეჭდვას ვერ დავიწყებთ. დასუურეთ. დასარჩენის გამოგზავნა.

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნემიანიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სტენებს „შირთოვა სუდაისტან“ — დავით ხალანისა დაიბეჭდა ცალკე წიგნებად და ისეიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ საწყობში და ბ-ნი ხარკვიანის წიგნის ძალსაიაში. ზიესა დირს 13 კაპ. კაზ. „თეატრის“ ხელის მომწერთ დაეთმობათ ორ შაურად. ჭალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დიბეჭდული ფასი ფოტოს მარგებით გამოგზავნენ.

ამიერ-კავკასიის უჩთავრესი ცნობათა (სპრავოჩნი)

კანტორა

შ. ე. დავაღვიანს

კანტორასა აქვს საგნად შეკვირიბოს და მოიპოვოს ყოველგვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისეიდება, გირადება, ან იფართო და ქირით იძლევა და რა თასად; ვის უნდა სახლი დაიქირავოს, ან გააქირავოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვთ შემოღებული თავიანთ საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი, ანუ სხვა საქმე; მუშაობის, პრივაშიკების, მონლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

აზნების და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურთა ბანკის ქარავალა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ.

ეს ერთადერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც ხალაქ აქვს შეტანილი ხაზინაში.